 სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

26/07/2024

MES 7 24 0000909512

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

2024-2025 სასწავლო წლისათვის სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების, მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანების „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“,საქართველოს განათლებისა დამეცნიერების მინისტრის 2013 წლის3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდებისმე-14 მუხლის მე-8 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-9 პუნქტის, „თესაუს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის წესის განსაზღვრის შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 17 აგვისტოს N1/239 ბრძანების, უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის (24/07/2024წ.N900799), სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის (24/07/2024წ.№901845) და აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის (24/07/2024წ.№900027) სამსახურებრივი ბარათების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 8 დეკემბრის №29 სხდომის ოქმისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ნანა რინკიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (25/07/2024; N908349) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღება განხორციელდეს შემდეგ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები

1. ლინგვისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა -15 ადგილი;

2. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 10 ადგილი.

ბ) სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები

1. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 15 ადგილი;
2. ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 10 ადგილი

გ) აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. მევენახეობა და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 15 ადგილი;
2. ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 15 ადგილი

2. საბუთების მიღება იწარმოებს 2024 წლის 26 აგვისტოდან 2024 წლის 6 სექტემბრის ჩათვლით
საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის ფაკულტეტებზე (საბუთების შემოწმების შემდეგ განცხადებები დანართებთან ერთად გადაიგზავნება უნივერსიტეტის კანცელარიაში);

3. მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს განცხადება რექტორის სახელზე (იხ. ბრძანების დანართი 1), შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ა) მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;
ბ) ორი ფერადი ფოტოსურათი (3x4);
გ) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომი დანართთან ერთად/ცნობა კვალიფიკაციის მინიჭების შესახებდა მათი შესაბამისი ასლები;
დ) სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების დამადასტურებელი
დოკუმენტის ასლი (სავალდებულოა ვაჟებისათვის);
ე) საერთო სამაგისტრო გამოცდის სერტიფიკატი;
ვ)მაგისტრატურაში მისაღებ კონკურსში მონაწილეობისათვის საორგანიზაციო გადასახადის - 50 (ლარის) ქვითარი;

4. მაგისტრატურის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდა/გასაუბრება ჩატარდეს 2024 წლის 10-11 სექტემბერს. კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე კანდიდატთა ჩარიცხვა განხორციელდება, თუ ჩასარიცხ კანდიდატთა რაოდენობა იქნება 2 ან მეტი;

5. გამოცდების შედეგების გამოცხადებისა და შედეგების გასაჩივრების ვადა განისაზღვროს: 2024 წლის 10-12 სექტემბერი;
6. მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულებების გაფორმდეს 2024 წლის 13 სექტემბერს;
7. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს:
ა)მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
ბ)მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად 2024 წლის 12 აგვისტომდე უზრუნველყონ სპეციალობის საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის ვებ – გვერდზე განთავსების უზრუნველყოფა;
გ)სპეციალობაში საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების შექმნაზე სამსახურებრივი ბარათების წარმოდგენა 2024 წლის 6 სექტემბრის ჩათვლით;
დ)მისაღებ გამოცდაზე დაშვების შესახებ სამსახურებრივი ბარათების წარმოდგენა 2024 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით;
ე) მაგისტრატურაში კანდიდატთა ჩარიცხვის შესახებ სამსახურებრივი ბარათების წარმოდგენა 2024 წლის 16 სექტემბერს ჩათვლით.

8.დაევალოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს წარმოადგინოს სამაგისტრო პროგრამებზე ჩასარიცხ სტუდენტთა შესახებ ინფორმაცია 2024 წლის 17 სექტემბერს;
9.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
10.ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს (ი. შ ი ო შ ვ ი ლ ს) ;
11.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
12.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;
13.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;
14.დაევალოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს (თ. ასლანიშვილს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვ ე ბ - გ ვ ე რ დ ზ ე ;
15.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გ ა მ ზ ი რ ი N 4 1) .

დანართი 1

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს

(უმაღლესი სასწავლებლის დასახელება)

კურსდამთავრებულის – – –

(წელი)

– – – –